პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 266 (10042)

ოთხშაბათი, 10 ნოემბერი, 1954 წ.

ფასი 20 კაპ.

საბჭოთა ხალხმა ზეიმით აღნიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავი.

დიდი ოქტომბრის საყოველთაო-სახალხო დღესასწაული კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის გარშემო ყველა საბჭოთა ადამიანის მჭიდრო [illegible] პარტიის, მთავრობისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის ახალი მძლავრი დემონსტრაცია იყო.

მავზოლეუმის ტრიბუნაზე 1954 წლის 7 ნოემბერს. მარცხნიდან მარჯვნივ: ამხანაგები პ. თ. ჟიგარევი, ნ. გ. კუზნეცოვი, ა. მ. ვასილევსკი, ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიკოიანი, მ. ზ. საბაროვი, მ. გ. პერვუხინი, ნ. მ. შვერნიკი, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ნ. ნ. შატალინი.

ფოტო ფ. კისლოვისა და ა. უსტინოვისა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობა

საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ 1954 წლის მოსავლის პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ

ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც ახორციელებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის შესახებ, წელს მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს მარცვლეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებაში.

1954 წლის 5 ნოემბრისათვის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე 100,1 პროცენტით შეასრულეს პურის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა. პურის დამზადება და შესყიდვა გრძელდება. სახელმწიფოს ჩაბარდა და მიეყიდა 289 მილიონი ფუთით მეტი პური, ვიდრე 1953 წელს ამავე თარიღისათვის. ამასთან მიღებულია შარშანდელზე 91 მილიონი ფუთით მეტი ხორბალი, 65 მილიონი ფუთით მეტი ჭვავი, 37 მილიონი ფუთით მეტი საბურღლე, 89 მილიონი ფუთით მეტი საფურაჟე კულტურები და 8 მილიონი ფუთით მეტი სიმინდი.

სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მიმდინარე წელს პურის წარმოებისა და დამზადების გადიდებას მიაღწიეს, მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ უკრაინასა და ვოლგისპირეთის რაიონებში მარცვლეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლისათვის ამინდის არახელსაყრელი პირობები იყო. გვალვასთან დაკავშირებით მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია უკრაინის სს რესპუბლიკაში პურის დამზადების გეგმა შეემცირებინა 224,6 მილიონი ფუთით და დამზადების შემცირებული გეგმა დაეწესებინა ვოლგისპირეთის რაიონებში.

ჩვენს ქვეყანაში პურის წარმოებისა და დამზადების მნიშვნელოვანი გადიდება მიღწეულია ციმბირის, ყაზახეთისა და ურალის რაიონებში ყამირი და ნასვენი მიწების წარმატებით ათვისებისა და მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდების შედეგად. ციმბირის რაიონებში აღებულია ერთიორად მეტი პური, ვიდრე შარშან, ყაზახეთის სს რესპუბლიკაში — 35 პროცენტით მეტი 1953 წელთან შედარებით. ალტაის მხარემ მიმდინარე წელს თითქმის ერთიოროთად გაადიდა პურის წარმოება. ციმბირის, ყაზახეთისა და ურალის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს პურის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა და თავიანთი სოციალისტური ვალდებულებანი. წელს ალტაის მხარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს და მიჰყიდეს 222 მილიონ ფუთი პური, 195 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე 1953 წელს; ნოვოსიბირსკის ოლქისამ — 74,1 მილიონი ფუთი, 52 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე შარშან; ომსკის ოლქისამ — 63 მილიონი ფუთი, 30 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე შარშან; კრასნოიარსკის მხარისამ — 56,3 მილიონი ფუთი, 22 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე შარშან; კურგანის ოლქისამ — 50,9 მილიონი ფუთი, 14 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე შარშან; ბაშკირეთის სს რესპუბლიკამ სახელმწიფოს ჩააბარა 8 მილიონი ფუთით მეტი პური, ვიდრე შარშან.

ყაზახეთის სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს და მიჰყიდეს 232,1 მილიონი ფუთი პური, 109 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე შარშან. აქედან პავლოდარის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩააბარეს და მიჰყიდეს 42 მილიონი ფუთი, 34 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე შარშან, აკმოლინსკის ოლქისამ — 40 მილიონი ფუთა, 23 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე შარშან, სემიპალატინსკის ოლქისამ — 16,6 მილიონი ფუთი, 12 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე შარშან.

სახელმწიფოს დიდძალი პური ჩაბარეს და მიჰყიდეს კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების, როსტოვის, ბელგოროდის, კურსკის, ორიოლის, ლიპეცკის, ტამბოვის, რიაზანის, ჩელიაბინსკის, სვერდლოვსკის, ტიუმენის, კემეროვოს, ირკუტსკის, ტომსკისა და სხვა ოლქების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

ციმბირის, ყაზახეთის, ურალის რაიონებსა და ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ სხვა რაიონებში პურის წარმოების, დამზადებისა და შესყიდვის მნიშვნელოვანი გადიდების გამო შესაძლებელი გახდა არა მარტო აგვენაზღაურებინა პურის დანაკლისი იმ რაიონებში, სადაც გვალვა იყო, არამედ მარცვლეულის მეტი საერთო მოსავალიც მიგვეღო მთლიანად ჩვენს ქვეყანაში, ვიდრე გადაჭარბებით შეგვესრულებინა პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა და შარშანდელზე მეტი პური მიგვეცა სახელმწიფოსათვის.

კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიმდინარე წელს კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას მიაღწიეს. მიმდინარე წლის 1 ნოემბრისათვის სახელმწიფომ დაამზადა და შეისყიდა 1.131 ათასი ტონით მეტი კარტოფილი, 437 ათასი ტონით მეტი ბოსტნეული, ვიდრე შარშან.

შებამბეობის ძირითად რაიონებში ნათესი ფართობის გადიდებისა და მოსავლიანობის ზრდის შედეგად გადიდდა ბამბის წარმოება. ახლა მიმდინარეობს ნედლი ბამბის აღება და დამზადება. მიმდინარე წლის 5 ნოემბრისათვის სახელმწიფოს უკვე დამზადებული ჰქონდა 228 ათასი ტონით მეტი ნედლი ბამბა, ვიდრე შარშან ამავე თარიღისათვის. წელს შარშანდელთან შედარებით გადიდდა სელის ბოჭკოს და სელის თესლის დამზადება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად მიღებულ ღონისძიებათა შედეგად ჩვენს ქვეყანაში გადიდდა ყველა სახეობის პროდუქტიული პირუტყვის სულადობა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ მოაწყო პირუტყვის აღწერა, რომლის მონაცემებითაც პირუტყვის სულადობა ჩვენს ქვეყანაში 1954 წლის 1 ოქტომბრისათვის 1953 წლის 1 ოქტომბერთან შედარებით შემდეგი ოდენობით გადიდდა:

ძროხისა	1,5 მილიონი სულით
სულ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა	1,9 მილიონი სულით
ღორისა	3,4 მილიონი სულით
ცხვრისა	2,6 მილიონი სულით

პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდის შედეგად მიმდინარე წლის 1 ნოემბრისათვის დამზადებული და შესყიდულია 233 ათასი ტონით მეტი ხორცი და 669 ათასი ტონით მეტი რძე, ვიდრე შარშან ამ თარიღისათვის.

მიმდინარე წელს გადიდდა კოლმეურნეობათა შემოსავალი, რაც საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვნად გავაფართოოთ საწარმოო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო სადგომთა მშენებლობა და გავადიდოთ შრომადღეებზე კოლმეურნეებისათვის მისაცემი ფული და პროდუქტები.

ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობები, მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან, რათა შექმნან პირობები 1955 წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის კარგი მოსავლის მისაღებად. გადაჭარბებით შესრულდა საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა. კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დათესეს 40 მილიონი ჰექტარი საშემოდგომო კულტურები, აქედან 19,7 მილიონი ჰექტარი ხორბალი, ანუ 1,6 მილიონი ჰექტარით მეტი, ვიდრე შარშან. კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მზრალად მოხნეს 9,3 მილიონი ჰექტარით მეტი, ვიდრე შარშან. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეინახეს 12.163 ათასი ცენტნერით მეტი მარცვლეული და პარკოსანი კულტურების, 127 ათასი ცენტნერით მეტი სიმოჭკოე სელის, 22.551 ათასი ცენტნერით მეტი კარტოფილის თესლი, ვიდრე შარშან.

კოლმეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაში დიდი დახმარება გაუწიეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა. მტს-ებმა კოლმეურნეობებში შეასრულეს ხვნაზე გადაყვანით 67,4 მილიონი ჰექტარით მეტი ყველა სამუშაო, ვიდრე შესრულებული იყო 1953 წელს, და კომბაინებით აღიღეს მთელი მარცვლეული კულტურების 82 პროცენტი, ანუ 7,4 მილიონი ჰექტარით მეტი, ვიდრე შარშან. სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს, განსაკუთრებით მოსავლის აღებასა და პურის დამზადებაში, სამრეწველო საწარმოებს, ტრანსპორტის, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებმა, სტუდენტებმა და მოსწავლეებმა, ხოლო მთელ რიგ რაიონებში საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეებმა.

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების ამოცანას, რომელიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს, უაღრესად ფართოდ გამოეხმაურნენ კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები და ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი. ამ საყოველთაო-სახალხო ამოცანის შესასრულებლად წარმატებით შრომობს და სახელოვან გმირობას იჩენს მრავალ ათასობით მექანიზატორი, კოლმეურნე, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშა და სპეციალისტი.

5 ნოემბრისათვის არსებული მონაცემებით სსრ კავშირის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სულ მოხნულია 17 მილიონ 430 ათასი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა გეგმით გათვალისწინებული 13 მილიონი ჰექტარის ნაცვლად. რუსეთის სფსრ ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების და ყაზახეთის სსრ ოლქების აბსოლუტურმა უმრავლესობამ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა ყამირი და ნასვენი მიწების მოხვნის მათთვის დაწესებული გეგმები. ეს ჩანს შემდეგი მონაცემებით:

	კოლმეურნეობებში		საბჭოთა მეურნეობებში	
	ათას ჰექტარობით	პროცენტებით გეგმასთან შედარებით	ათას ჰექტარობით	პროცენტებით გეგმასთან შედარებით
რუსეთის სფსრ	6.162	131	2.571,2	125
აქედან:				
ალტაის მხარე	2.055	103	264,4	86
ომსკის ოლქი	866	144	151,0	111
ჩკალოვის ოლქი	559	224	522,5	116
ნოვოსიბირსკის ოლქი	557	143	108,7	109
კრასნოიარსკის მხარე	450	113	163,9	205
ჩელიაბინსკის ოლქი	301	125	202,7	124
ბაშკირეთის ასსრ	282	282	118,6	115
კურგანის ოლქი	226	113	60,7	121
ტიუმენის ოლქი	212	151	0,5	—
სარატოვის ოლქი	167	209	320,5	128
ჩიტის ოლქი	159	398	18,0	360
ირკუტსკის ოლქი	151	151	9,2	—
კემეროვოს ოლქი	145	104	14,5	132
სტალინგრადის ოლქი	—	—	193,8	141
ყაზახეთის სსრ	5.007	125,2	2.737,1	122
აქედან:				
კუსტანაის ოლქი	1.169	117	537,1	120,4
აკმოლინსკის ოლქი	926	128	708,4	118,0
კოკჩეტავის ოლქი	824	118	582,1	107,5
პავლოდარის ოლქი	785	121	190,4	190,0
დასავლეთ ყაზახეთის ოლქი	429	172	104,7	193,9
ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქი	394	113	359,9	102,0
აქტიუბინსკის ოლქი	364	146	36,9	245,8
ყარაგანდის ოლქი	116	155	115,3	125,3
სემიპალატინსკის ოლქი	162	—	23,5	157,0

მთელი ხალხი იწონებს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების ამოცანას, რომელიც დასახეს პარტიამ და მთავრობამ. ამას ის ადასტურებს, რომ რუსეთის სფსრ ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების, ყაზახეთის სსრ და უზბეკეთის სსრ ბევრმა კოლმეურნეობამ, მტს-მა და საბჭოთა მეურნეობამ, რომლებსაც არა აქვთ ყამირი და ნასვენი მიწების მოხვნის საგეგმო დავალება, მოხნა 1.049 ათასი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა. რუსეთის სფსრ კოლმეურნეობებში, რომლებსაც არა აქვთ ახალი მიწების ათვისების საგეგმო დავალება, მოხნულია 492 ათასი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა და საბჭოთა მეურნეობებში — 112,6 ათასი ჰექტარი, აქედან ამურის ოლქში მოხნულია 204 ათასი ჰექტარი, სტალინგრადის ოლქში — 179 ათასი ჰექტარი, ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკაში — 122,6 ათასი ჰექტარი. ყაზახეთის სსრ კოლმეურნეობებში, რომლებსაც არა აქვთ ყამირი და ნასვენი მიწების მოხვნის საგეგმო დავალება, მოხნულია 440 ათასი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა, აქედან სემიპალატინსკის ოლქში — 162 ათასი ჰექტარი, აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქში — 83 ათასი ჰექტარი, ჯამბულის ოლქში — 72 ათასი ჰექტარი, ალმა-ატის ოლქში — 41 ათასი ჰექტარი და ტალდი-კურგანის ოლქში 40 ათასი ჰექტარი.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე ყამირ და ნასვენ მიწებზე დაითესა 3,6 მილიონი ჰექტარი ხორბალი და ფეტვი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2,3 მილიონი ჰექტარისა. ახლად ათვისებულ მიწებზე მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა კოლმეურნეობებში შესრულებულია 156 პროცენტით და საბჭოთა მეურნეობებში — 176 პროცენტით.

ყოველივე ეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საშუალებას აძლევს სრული რწმენა გამოთქვან, რომ 1956 წელს ნათესი ფართობები ახლად ათვისებულ ყამირ და ნასვენ მიწებზე 28-30 მილიონ ჰექტარამდე გადიდდება. ნათესი ფართობების ასეთი მატება შესაძლებელს გახდის მარცვლეულის დამზადებისა და შესყიდვის მოწყობას ისეთი ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ სრულად დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება პურის პროდუქტებზე, გვექნეს პურის საჭირო სახელმწიფო რეზერვები და ფურაჟის საკმაო რაოდენობა მზარდი მეცხოველეობისათვის. აღმოსავლეთ რაიონებში ნათესი ფართობების გადიდება საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ შაქრის ჭარხლის, ზეთოვანი და სხვა ტექნიკური კულტურების ნათესი ფართობები, რათა უზრუნველვყოთ შაქრისა და ზეთის მოხმარების მნიშვნელოვანი ზრდა, აგრეთვე მსუბუქი მრეწველობის მომარაგება ნედლეულით.

სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ საქმით დაამტკიცა, რომ მას მიწათმოქმედების ყოველგვარ არასოციალისტურ ფორმასთან შედარებით ისეთი უპირატესობანი აქვს, რომლებიც საშუალებას აძლევენ მას მოკლე ვადაში გადაწყვიტოს ამოცანა — დაკმაყოფილოს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე. ბევრი მოწინავე კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა უკვე ახლა იღებს ყოველ 100 ჰექტარ მიწაზე იმდენ პროდუქციას, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს ჩვენი ქვეყნის უხვად მომარაგება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც შარშან სექტემბერში მიმდინარეობდა, აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ყველაზე არსებითი და დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანა ის არის, რომ კვლავაც ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ მძიმე ინდუსტრია და მივაღწიოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის მკვეთრ აღმავლობას, მკვეთრად გავადიდოთ ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობის უზრუნველყოფა სასურსათო საქონლით და უზრუნველვყოთ კოლმეურნე გლეხობის მთელი მასის მატერიალური კეთილდღეობის უფრო მაღალი დონე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულების პირველი შედეგები ცხადყოფენ, რომ ჩვენს ქვეყანას ყველა საჭირო შესაძლებლობა მოეპოვება დასახული ამოცანების წარმატებით შესასრულებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის იმ პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ შეიმუშავეს, მკაფიოდ გამოვლინდა მილიონობით კოლმეურნის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშისა და სპეციალისტის შრომითი გმირობა და შემოქმედებითი ინიციატივა. სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაში მიღწეული წარმატებანი შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ სოციალისტური ქალაქი უდიდეს დახმარებას უწევს სოფლას მეურნეობას. მიმდინარე წელს ჩვენმა ინდუსტრიამ დიდი რაოდენობით მოამარაგა სასოფლო-სამეურნეო წარმოება პირველხარისხოვანი ტექნიკით. ათასობით საწარმომ და დაწესებულებამ გაგზავნა კვალიფიციური მუშები და სპეციალისტები ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების განსამტკიცებლად. ამით გამოიხატება მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევი კავშირის დიადი ძალა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დარწმუნებული არიან, რომ სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის საყოველთაო-სახალხო ამოცანა წარმატებით გადაიჭრება უმოკლეს ვადაში.

პარადი და დემონსტრაცია წითელ მოედანზე

დიდი ოქტომბრის ოცდამეჩვიდმეტე წლისთავი. ჩვენი სამშობლოს მშრომელებმა ოგი სიხარულით და ზემოით აღნიშნეს. 7 ნოემბერს მილიონობით საბჭოთა ადამიანი გამოვიდა ქალაქების, სოფლებისა და მუშათა დაბების ქუჩებში. მათ მოაქონდათ პლაკატები, მაკეტები, დიაგრამები, რომლებიც მოგვითხრობენ სადღესასწაულო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულ წარმატებებზე, სარეკორდოებზე, რომლებიც სამშობლოს მოუმზადეს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებმა.

ჩვენი სამშობლოს ხალხთა ფიქრები და გული მიპყრობილი იყო მოსკოვისადმი — დიდი სოციალისტური სახელმწიფოს — მთელი მსოფლიოს მშვიდობის დამცველის — დედაქალაქისადმი. ამ დღეს აქ, წითელ მოედანზე, გამართა სამხედრო პარადი და მშრომელთა მძლავრი დემონსტრაცია.

ლამაზი, სადღესასწაულო სამოსით მოირთო ძველი წითელი მოედანი. ისტორიული მუზეუმის შენობის ფასადზე ოქროსფერ გვირგვინებს შორის არის ლენინ-სტალინის თარიღები: „1917“ და „1954“. შემოდგომის ქარი არხევს წითელ ალმებს სახელმწიფო უნივერმაღის სახურავზე. ალმები სამოცზე მეტია. ცენტრში ალმების ფონზე ვ. ი. ლენინისა და ი. ვ. სტალინის პორტრეტებია. „წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!“ — მოგვიწოდებს უზარმაზარ წითელ ქსოვილზე წარწერილი ლოზუნგი. საბჭოთა კავშირის გერბი და მოკავშირე რესპუბლიკათა გერბები სიმბოლურად გამოხატავენ თავისუფალი საბჭოთა ხალხების ძმურ ერთობას. წითლად კიაფობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებანი.

პარადის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გრანიტის ტრიბუნებზე შეიკრიბნენ მოსკოვის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, მეცნიერების, ხელოვნების მოღვაწეები, მინისტრები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები. აქვე არიან დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და სამხედრო ატაშეები. ტრიბუნებზე უცხოეთის მრავალი დელეგაციაა.

შეწყობილი ტაში გაისმა კრემლის კედლის გაყოლებით. ლენინისა და სტალინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე ავიდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ა. ბულგანინი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ნ. შატალინი, ოგრეთვე მარშლები, ადმირალები და გენერლები.

კრემლის მაცხოვრის კოშკის საათის მოოქროვილი ისრები ათს აჩვენებენ.

მაცხოვრის კოშკის კარიდან ლია ავტომობილით გამოვიდა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ა. ბულგანინი და გაემართა მოედნის ცენტრისაკენ. ჯარები გასწორდნენ. გუგუნებს შეხვედრის მარშის მუსიკა. მინისტრს უახლოვდება პარადის სარდლის არმიის გენერალ კ. ს. მოსკალენკოს მანქანა. ი ბ ბ ბ

ქ. თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია რუსთაველის პროსპექტზე 1954 წლის 7 ნოემბერს. ფოტო ვ. გინზბურგისა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავის დღესასწაული საქართველოში

სოხუმი

7 ნოემბერს ქალაქმა ადრე გაიღვიძა. ქუჩებში ისმის საზეიმო სიმღერები.

სოხუმის მშრომელთა დემონსტრაცია იწყება ქალაქის საშუალო სკოლების მოსწავლეთა კოლონების გავლით. მოდიან ტექნიკუმებისა და პედაგოგიური ინსტიტუტის მოსწავლეები და სტუდენტები. დემონსტრანტებს მოაქვთ ლენინისა და სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა, მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა პორტრეტები.

სოხუნის საწარმოთა კოლონებს მოუძღვის ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივი, რომელმაც 10 თვის გეგმის გადამეტებით საამშობლოს 41 ათასი წყვილი ფეხსაცმელი მისცა და შრომის ნაყოფიერება 7,9 პროცენტით გაზარდა. მეფეხსაცმელეებს მოჰყვებიან სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები, ამ ფაბრიკის კოლექტივმა 10 თვის გეგმის გადაჭარბებით 65 მილიონი ცალი პაპიროსი გამოუშვა.

დემონსტრაცია დამთავრდა სპორტული სკოლის აღსაზრდელთა გამოსვლით. მათ ტრიბუნის წინ შეასრულეს რამდენიმე ვარჯიში.

დემონსტრაციაში, რომელიც 2 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათასმა კაცმა.

7 და 8 ნოემბერს ქალაქის ბაღებსა და სკვერებში, სტალინის სახელობის მთაზე გაიმართა მასობრივი სეირნობა. საღამოს ზღვაზე მოეწყო ნაციებითა და გლისერებით გასეირნება. **(საკ. კორ.).**

გათუმი

ზღვისპირა ქალაქი სადღესასწაულოდ დიდი სიფაქიზითა და გემოვნებით იყო მორთული. ყველგან მოჩანდა ლენინისა და სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, წითლად მოხასხასე დროშები, სადღესასწაულო ლოზუნგები და პლაკატები, ფერადი ყვავილები და მწვანე გირლანდები.

დილის 11 საათზე დაიწყო ბათუმის მშრომელთა დემონსტრაცია. საზეიმოდ მორთულ მოედანზე ერიამულითა და სიმღერით შემოდიან მოსწავლეთა კოლონები. გოგონებსა და ვაჟებს მოაქვთ ყვავილთა თაიგულები, ალისფერი ტილოები, რომლებზეც წარწერილია პარტიისადმი მხურვალე მადლობის სიტყვები.

მოსწავლეებს მოჰყვა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა კოლონა.

მწყობრად მოაბიჯებენ მომავალი საბჭოთა მეზღვაურები—ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის მოსწავლეები.

მოედანზე შემოვიდა აჭარის უდიდესი საწარმოს — სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივის კოლონა. „ათი თვის გეგმა განაღდებულია 108,3 პროცენტით“ — ასეთია მენავთობეთა საოქტომბრო პატაკი.

წარმატებებით მოვიდნენ დემონსტრაციაზე ბათუმის რკინიგზის კვანძის საწარმოთა კოლექტივები. საორთქლმავლო დეპომ 154 პროცენტით შეასრულა 10 თვის დავალება, მევაგონეებმა — 130 პროცენტით.

წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ბათუმის რაიონის მშრომელთა ნრავალრიცხოვანმა კოლონამ. მოედანზე ერთიმეორეს მოაყვებოდნენ კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები. მათ ავტომანქანებს აშენებდა ოქროსფერი ნაყოფით დახუნძლული ციტრუსოვანთა და ხურმის ნერგები. ჩაის ბუჩქები.

ბათუმის მშრომელთა დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათასმა კაცმა.

7 და 8 ნოემბერს ქალაქის პარკებსა და ბაღებში მოეწყო მშრომელთა მასობრივი სეირნობა, სასპორტო მოედნებსა და სტადიონებზე გაიმართა შეჯიბრება სპორტის სხვადასხვა სახეში. **(საკ. კორ.).**

კარადი და დემონსტრაცია თბილისში

უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში იზეიმა საბჭოთა ხალხმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავი.

7 ნოემბრის დილას ადრე გაიღვიძა საბჭოთა საქართველოს დედაქალაქმა: ამოძრავდნენ, ახმაურდნენ ქუჩები და მოედნები. თვალწარმტაცი იყო სადღესასწაულოდ მორთული თბილისი. განსაკუთრებით დამშვენებული იყო ლენინის ქუჩა და რუსთაველის პროსპექტი, ლენინის მოედანი, მთავრობის სასახლე. შენობათა ფასადებზე გაჭრილია ალისფერი ტილოები, ფერადი ტრანსპარანტებზე ლამაზად არის წარწერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებები. საბჭოთა ხალხის დიად წარმატებებზე მოგვითხრობდნენ პანოები და პლაკატები. ფრიალებდა ალისფერი დროშები.

შენობათა ფასადებზეა ლენინისა და სტალინის უზარმაზარი პორტრეტები, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები. დიდ ტილოზე წარწერილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოქტომბრო მოწოდებების სიტყვები:

„გაუმარჯოს დიდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავს!

მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!“

საქართველოს სსრ მთავრობის სასახლის წინ მოწყობილ ტრიბუნაზე არიან აბხაზაგები ვ. პ. მეკავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიანი, მ. პ. გიორგაძე, ო. დ. გოცირიძე, დ. ვ. მჭედლიშვილი, მ. ი. კუპავა, მ. მ. ლელაშვილი, ა. ნ. ინაური, ა. ლ. გუნია, ე. ა. სეხნიაშვილი, თ. ბ. ჯანელიძე. ტრიბუნაზე არიან მინისტრები, პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, საწარმოების წარჩინებული ადამიანები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

დილის 10 საათია. ქუხს რუსთაველის პროსპექტზე ჩამწკრივებული ჯარებისადმი ბრძანების სიტყვები: „პარადი, სენენ!“

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ი. ი. ფედიუნინსკი იღებს პარადის სარდლის, თბილისის გარნიზონის უფროსის გენერალ-მაიორ გლადკოვის პატაკს, ჩამოუვლის ჩამწკრივებულ ჯარებს, მიესალმება მათ და ულოცავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავს. რუსთაველის პროსპექტზე ჯარის ერთი ნაწილიდან მეორეზე ძლიერ ტალღად გადადის მქუხარე „ვაშა“.

გენერალ-პოლკოვნიკი ი. ი. ფედიუნინსკი ამთავრებს ჯარების ჩამოვლას და ადის ტრიბუნაზე. იგი საქართველოს სსრ მთავრობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და დავალებით სიტყვით მიმართავს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარისკაცებს, სერჟანტებს, ოფიცრებსა და გენერლებს, საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელს. იგი ლაპარაკობს იმ უდიდესი მიღწევების შესახებ, რაც საბჭოთა ხალხმა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით მოიპოვა კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, ლაპარაკობს იმ სამეურნეო და კულტურული განაჯვების შესახებ, რითაც საბჭოთა ხალხი მოვიდა თავის დიად დღესასწაულზე.

— საბჭოთა საქართველო, — ამბობს ამხ. ფედიუნინსკი, — მოძმე რესპუბლიკებთან ერთად, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებითა და ხელმძღვანელობით ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევს საბალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის საქმეში.

შემდეგ იგი ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების შესახებ, რომლებიც მტკიცედ დგანან დიდი ოქტომბრის მონაპოვრების სადარაჯოზე, ფხიზლად იცავენ ჩვენი დიადი სამშობლოს საზღვრებს, სამშობლოსი, რომელიც მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯია. ამხ. ი. ი. ფედიუნინსკი გამარჯვებას უსურვებს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს, საბჭოთა ხალხს, კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას. კვლავ ქუხს „ვაშა“. ისმის სადღესასწაულო სალუტის ზალპები, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნების დიდებული ჰანგები.

იწყება თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი. იშლება თვალწარმტაცი სანახაობა. მოდიან ჯარების მრავალ სახეობათა წარმომადგენლები, საზეიმო-სადღესასწაულო მარშით ჩაუვლიან ისინი ტრიბუნას. ხალხი გულმხურვალედ მიესალმება მრავალ ბრძოლაში გამოწრთობილ მამაც საბჭოთა არმიას, მის სახელოვან მეომრებს.

მთავრდება ჯარების პარადი. ცოტა ხნის შემდეგ რუსთაველის პროსპექტზე ხალხმრავალი დემონსტრაცია იწყება. განუწყვეტელ ნაკადად მოდიან დედაქალაქის მშრომელთა ახალი და ახალი კოლონები. თითქოს დასასრული არ უჩანს მოსწავლე ახალგაზრდობის კოლონებს. მოაქვთ ყვავილების თაიგულები. ჰაერში აფრიალდნენ მტრედები — მშვიდობის სიმბოლო. ჩვენი ბედნიერი ნორჩი თაობისათვის შექმნილია სწავლის, ზრდის ყველა პირობა. მოსწავლეები მადლობას უძღვნიან პარტიას, საბჭოთა მთავრობას მშობლიური მზრუნველობისათვის.

ლენინის რაიონი ჩვენი დედაქალაქის ინდუსტრიის ერთ-ერთი მძლავრი კერაა. მოდიან რაიონის მშრომელები. მოაქვთ დროშების ტყე. რაიონის საწარმოები დიდი სამეურნეო წარმატებებით შეხვდნენ ოქტომბრის დღესასწაულს. პლაკატები, ტრანსპარანტები, პანოები, დიაგრამები, რომლებიც კოლონებს მოაქვთ, ამ წარმატებებზე მეტყველებენ.

სტალინის, მოლოტოვის, კალინინის, ორჯონიკიძის, კიროვის, 26 კომისრის რაიონების მშრომელთა კოლონები ჩაუვლიან მთავრობის ტრიბუნებს. დემონსტრანტთა შორის მრავალი ეროვნების წარმომადგენლები არიან. ისმის საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი ძმობისა და მეგობრობის გამომხატველი შეძახილები. ტრიბუნიდან მიესალმებიან მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს, სამედიცინო დარგის ნუშაკებს, სტუდენტებს, მეცნიერებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს.

ისმის სიმღერები, მუსიკა. კვლავ უწყვეტ ნაკადად მოდიან დემონსტრანტთა კოლონები.

თბილისის მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაციამ ერთხელ კიდევ ცხადყო საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ერთგულება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, ნისი მზადყოფნა — მთელი ძალღონე მოახმაროს კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

გვიან ღამემდე ზეიმობდა ქალაქი. ქუჩებში და მოედნებზე მოეწყო მასობრივი სეირნობა.

სტალინირი

დილის 10 საათზე დაიწყო ქალაქის მშრომელთა დემონსტრაცია. დემონსტრანტთა კოლონების წინ გამოჩნდნენ ქალაქის საშუალო სკოლების მოსწავლეები. მოდიან სტალინირის ხე-ტყის კომბინატისა და მექანიკური ქარხნის მუშათა კოლექტივები, კოლონების წინ მოელვარე ტრანსპარანტებზე აღბეჭდილია მათი საწარმოო მაჩვენებლები. მექანიკური ქარხნის მუშათა კოლექტივმა წლიური საწარმოო დავალება 105,7 პროცენტით გაანაღდა დღესასწაულის წინა დღეებში.

ტრიბუნას ჩაუარეს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა. მათ ბევრი საშენი მასალა მისცეს სტალინირის ახალმშენებლობებს. კოლონებში მრავლად არიან მუშები, რომლებიც გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

მოედანზე შემოდიან სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკები. მათ ცალიან ქალაქის სპეციალური საშუალო სასწავლებლებისა და სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები. ისინი ძმური სალამის სიტყვებს უძღვნიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის მებრძოლ ხალხებს.

ამ დღეს სტალინირის მშრომელებმა ერთხელ კიდევ მკაფიოდ გამოხატეს თავიანთი მჭიდრო დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, უსაზღვრო ერთგულება კომუნიზმის საქმისადმი.

ქალაქის ქუჩები და მოედნები გვიან ღამემდე სავსე იყო მოზეიმე ხალხით. **(საკ. კორ.).**

ძუთაისი

საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი ადრიანად მოემზადა დღესასწაულისათვის.

ლამაზად მორთულ ლენინის პროსპექტსა და სტალინის სახელობის მოედანზე მოჩანან მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები. ტრიბუნის თავზე ფრიალებდნენ 16 მოძმე რესპუბლიკის დროშები.

დემონსტრაცია დაიწყო სპორტსმენთა გამოსვლით.

მოედანზე შემოდიან მოსწავლეები. მათ მხიარულად, მწყობრი ნაბიჯით ჩაუარეს ტრიბუნას. ისინი შესცქერიან პედაგოგიური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების სტუდენტებმა.

საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა ზეიმზე გამოიყვანა ახლახან ათვისებული ავტომანქანა, განკუთვნილი სოფლის მეურნეობისათვის. მანქანათმშენებელთა კოლონას ამშვენებდა ახალი ტიპის საჰაერო გადამტვირთავი, სპეციალურად დამზადებული დონბასის ქვანახშირის შახტებისათვის, მას ყოველ საათში შეუძლია 40 ტონა ტვირთის გადატანა.

საოქტომბრო ვალდებულებათა პირნათლად განაღდებას იუწყებოდა ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის, საკონსერვო ქარხნის, ლიტოპონის ქარხნის, სამკერვალო ფაბრიკის, სამრეწველო კომბინატისა და რკინიგზის კვანძის საწარმოთა ტრანსპარანტები. ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატმა 1 ნოემბრისათვის 120,8 პროცენტით შეასრულა პროდუქციის გამოშვების 4 წლის გეგმა, დაზოგა 400 ათასამდე დეციმეტრი ტყავი და ამ დანაზოგით 30 ათასზე მეტი წყვილი ფეხსაცმელი გამოუშვა. საკონსერვო ქარხანამ სადღესასწაულოდ მოსკოვის, ლენინგრადის და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების მშრომელებს გაუგზავნა 70 ვაგონი კონსერვი, სამრეწველო კომბინატმა 10 თვეში დამატებით გამოუშვა 3 მილიონი ნანეთის პროდუქცია.

საღამოს ქალაქში გაიმართა დიდი სეირნობა. „დინამოს“ სტადიონზე საქართველოს პირველობაზე ერთმანეთს შეხვედნენ რუსთავის „მეტალურგისა“ და ქუთაისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდები. შეხვედრა მოიგეს ქუთაისელებმა ანგარიშით 2:0. **(საკ. კორ.).**

დიდი ოქტომბრის 37-ე წლისთავის დღესასწაული საზღვარგარეთ

მთელი მსოფლიოს მშრომელებმა იდღესასწაულეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავი. განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნეს ეს შესანიშნავი თარიღი მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებმა.

6 ნოემბერს პეკინში გაიმართა დედაქალაქის საზოგადოებრიობის საზეიმო კრება, რომელიც მოიწვია ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ. კრების პრეზიდიუმში იყვნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე ჯუ დე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე ჩენ თუნი, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეები სუნ ციან-ლინი, უ იუ-ჯანი, გო მო-უო, შენ ძიუნ-ჟუ, ლი ძი-შენი, სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. თ. იუდინი და სხვები.

სიტყვა წარმოთქვა სუნ ციან-ლინმა. მან თქვა: ახლა კაცობრიობის განთავისუფლების საქმემ, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ოქტომბრის რევოლუციამ, უკვე გაიმარჯვა ჩვენი პლანეტის უდიდეს ტერიტორიაზე. გაიმარჯვეს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალებმა, რომლებსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს და რომლებიც აერთიანებენ მსოფლიოს მოსახლეობის მესამედს. ეს ძალები განუწყვეტლივ იზრდება და მტკიცდება. მთელ მსოფლიოში გაიშალა მოძრაობა მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვისათვის, დემოკრატიისა და დამოუკიდებლობისათვის. ახლა ამ მძლავრმა მოძრაობამ ღრმად გაიდგა ფესვები ადამიანთა გულში და ძრწოლას იწვევს ომის იმპერიალისტ გამჩაღებლებში.

სუნ ციან-ლინმა გამარჯვება უსურვა ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის დიდი ხალხების საუკუნო და ურღვევ მეგობრობას და მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

დიდი ოქტომბრის აღსანიშნავად ჩინეთის 30 უდიდეს ქალაქში ეწყობა საბჭოთა ფილმების კვირეული.

როგორც დიდ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს ისე შეეგებნენ ოქტომბრის 37-ე წლისთავს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები.

დღესასწაულის წინადღეს მთელ პოლონეთში გაიმართა საზეიმო კრებები, ვარშავის სახელმწიფო პოლონურ თეატრში შეიკრიბნენ დედაქალაქის საწარმოთა შრომის მოწინავეები, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების მოღვაწეები, პოლონეთის ჯარის გენერლები და ოფიცრები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სხდომაზე იყვნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბოლესლავ ბერუტი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ზაჯადსკი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იუზეფ ცირანკევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, მთავრობისა და სახელმწიფო საბჭოს წევრები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში ნ. ა. მიხაილოვი და დიპლომატიური კორპუსის სხვა წევრები.

სხდომა გახსნა ბოლესლავ ბერუტმა. მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავის შესახებ გაკეთა იუზეფ ცირანკევიჩმა.

სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი დეპეშა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

საზეიმო საღამოები, კრებები და მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაციები გაიმართა პრაღაში, ბრატისლავაში, ბრნოში, პლზენში, გოტვალდოვში და სხვა ქალაქებში, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის ბევრ სოფელში.

პრაღაში საზეიმო სხდომას დაესწრნენ რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. ზაპოტოცკი, პრემიერ-მინისტრი ვ. შიროკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ნოვოტნი, ეროვნული კრების თავმჯდომარე ზდენეკ ფირლინგერი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ა. ჩეპიჩკა, ი. დოლანსკი, ვ. კოპეცკი, რ. ბარაკი და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები, ეროვნულ ფრონტში შემავალი ყველა პარტიისა და ორგანიზაციის წარმომადგენლები, წარმოების მოწინავეები და ნოვატორები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები. საზეიმო საღამოს დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ნ. პ. ფირიუბინი, საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია აკადემიკოს ბ. ა. ვვედენსკის მეთაურობით, პრაღის დიპლომატიური კორპუსის წევრები.

ბუდაპეშტში თავისუფლების მოედანზე დიდი ოქტომბრის 37-ე წლისთავის გამო გვირგვინებით შეამკეს უნგრეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლი. ყველგან მოეწყო სახელოვანი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები, საღამოები, კონცერტები.

რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. გეორგიუ-დეჯი, დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე დოქტორი პეტრუ გროზა, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გეორგე აპოსტოლი, მინისტრები, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და არმიის წარმომადგენლები, აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წევრები.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კიუ სტოიკამ. მიტინგის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანების ვითარებაში მიიღეს მისასალმებელი დეპეშა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობისადმი.

7 ნოემბერს სოფიის 150 ათასმა მშრომელმა მიიღო მონაწილეობა დემონსტრაციაში, რომელიც მოეწყო დიდი ოქტომბრის 37-ე წლისთავის აღსანიშნავად. გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმის ტრიბუნიდან დემონსტრანტებს მიესალმნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და სახალხო მთავრობის ხელმძღვანელები ვილკო ჩერვენკოვი, გიორგი დამიანოვი, ანტონ იუგოვი, გიორგი ტრაიკოვი, გიორგი ჩანკოვი, რაიკო დამიანოვი, ტოდორ ჟივკოვი, გიორგი სტანკოვი, ნეიჩო სტაიკოვი, ივანე მიხაილოვი. აქ იყო აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთში ი. კ. პრიხოდოვი.

მიტინგები და საზეიმო კრებები გაიმართა აგრეთვე ალბანეთში, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

პარიზში 5 ნოემბერს გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელიც მოაწყო საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ. ტრიბუნაზე იყვნენ ჟაკ დიუკლო, ფრანსუა ბიიუ, ლორან კაზანოვა, რაიმონ გიუიო, ლეონ მოვე და კომპარტიის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები, შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივანი გასტონ მონმუსო, „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციის, საფრანგეთის ქალაშვილთა კავშირის, საფრანგეთის რესპუბლიკური ახალგაზრდობის კავშირის და სხვა დემოკრატიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რომლებსაც შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ჟაკ დიუკლოს მოხსენება. დიუკლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი იყო, არის და იქნება მთელი მსოფლიოს მშვიდობის საიმედო დამცველი და რომ ამიტომ სოციალიზმის ქვეყნისადმი მიპყრობილია მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხების თვალი.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ მომხსენებლის განცხადებას, რომ ფრანგი ხალხი არასოდეს არ იომებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ლონდონის უდიდეს დარბაზში — ემპრეს-ჰოლის დარბაზში 6 ნოემბერს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური. საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოო ალმებით მორთულ დარბაზში შეიკრიბა ინგლისის 9 ათასზე მეტი მშრომელი, რათა აღენიშნათ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავი. შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის წევრებს, რომლებიც ლონდონში ჩავიდნენ ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურში მონაწილეობის მისაღებად.

მიტინგზე ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებაში შეკიდა 2 ათასზე მეტი ახალი წევრი.

დიდი ენთუზიაზმით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავი იტალიის პროგრესულმა ორგანიზაციებმა. ასობით ქალაქსა და სოფელში გაიმართა მასობრივი მანიფესტაციები, რომლებიც მოაწყეს კომუნისტურმა და სოციალისტური პარტიების ადგილობრივმა ფედერაციებმა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები გაიმართა ნორვეგიაში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, ფინეთში, ურუგვაისა და სხვა ქვეყნებში.

საბჭოთა საელჩოებსა და მისიებში საზღვარგარეთ მოეწყო მთავრობანი დიდი ოქტომბრის აღსანიშნავად. (საკადესი).

გვირგვინებით შეამკეს დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლი ბერლინში

ბერლინი, 7 ნოემბერი. (საკადესი). დღეს ბერლინში ტრეპტოვ-პარკში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავის გამო საზეიმო ვითარებაში გვირგვინებით შეამკეს ბერლინისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლი.

გვირგვინებით საზეიმო შემკობას დაესწრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარე ი. დიგმანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტეოლი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ულბრიხტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დეპუტატები და მთავრობის წევრები, დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების მრავალი წარმომადგენელი, ბერლინელ მშრომელთა დელეგაციები, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

გვირგვინებით შემკობას დაესწრნენ სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. ვ. პუშკინი, საბჭოთა საელჩოსა და გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის აპარატის თანამშრომლები.

გვირგვინებით შემკობის დროს გაიმართა საზეიმო-სამგლოვიარო მიტინგი.

საზეიმო ვითარებაში გვირგვინებით შეამკეს აგრეთვე საბჭოთა მეომრების ძეგლები პანკოვის (აღმოსავლეთ ბერლინი) და ტირგარტენის (ბერლინის ინგლისის სექტორი) საქალაქო რაიონებში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მწუხარებით იუწყებიან, რომ 1954 წლის 7 ნოემბერს ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გენერალ-მაიორი ბიოლრბი ივანეს-ძე ყუფარაძე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გენერალ-მაიორი ბიოლრბი ივანეს-ძე ყუფარაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

უცხოეთის პრესა მოსკოვის საბჭოს 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე მ. ზ. საბუროვის მოხსენების შესახებ

პრაღა, 8 ნოემბერი. (საკუთარი). დღეს მოწინავე სტატიაში „მაგალითი ხალხებისათვის“ გაზეთი „რუდე პრავო“ კომენტარს უკეთებს მ. ზ. საბუროვის მოხსენებას მოსკოვის საბჭოს 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე.

ყოველ წელიწადს დიდი დღესასწაულის დღეს, წერს გაზეთი, საბჭოთა ხალხი და მშვიდობის მთელი ბანაკი აჯამებენ თავიანთი შემოქმედებითი შრომის წარმატებათა შედეგებს. და ყოველ წელიწადს ეს შედეგები ახალი ძალით ცხადყოფენ სოციალისტური სისტემის უდავო უპირატესობას „კაპიტალისტური სისტემის წინაშე, მიმწბობენ მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების ახალ გამარჯვებას.

მაშინ როცა კაპიტალისტური ქვეყნებიდან, განაგრძობს გაზეთი, მოდის ცნობები სამეურნეობის დაცემისა და მშრომელთა საარსებო დონის განუწყვეტელ დაქვეითების შესახებ, საბჭოთა ხალხი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით აღწევს ახალ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს. საბჭოთა სახალხო მეურნეობის მძლავრი განვითარება მიმართულია მთავარი მიზნისაკენ — რაც შეიძლება მალე ამაღლდეს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონე.

პარიზი, 7 ნოემბერი. (საკუთარი). პარიზის საკვირაო გაზეთებმა გამოაქვეყნეს მოსკოვის საბჭოს 1954 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე მ. ზ. საბუროვის მოხსენების მოკლე შინაარსი.

„საბუროვი კვლავ ადასტურებს, რომ სსრ კავშირს სწამს მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობა“, — წერს სათაურში გაზეთი „ლუმანიტე-დიმანში“, „მოსკოვი ხაზგასმით აღნიშნავს მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობას“ („ჟურნალ დიუ დიმანში“). „ძირითად თემას, რომელიც განავითარა ორატორმა, — წერს „ჟურნალ დიუ დიმანში“, — შეგვიძლია გავუკეთოთ შემდეგი დასკვნა: „საბჭოთა კავშირი ახორციელებს საერთაშორისო მშვიდობის სასარგებლო და თავის ქვეყანაში ცხოვრების პირობების გაუმჯობესების სასარგებლო პოლიტიკას“. გაზეთი გამოჰყოფს მ. ზ. საბუროვის მოხსენების იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობის გაუმჯობესების შესახებ.

პარიზი, 9 ნოემბერი. (საკუთარი). ფრანს პრესის სააგენტოს კომენტარებში, რომლებიც მიძღვნილია მ. ზ. საბუროვის მოხსენებისადმი, ნათქვამია: მოხსენებას, რომელიც გააკეთა მ. ზ. საბუროვმა ოქტომბრის რევოლუციის 37-ე წლისთავის დღესასწაულის გამო, ინტერესით შებვდნენ მოსკოვის დიპლომატიური წრეებში, სადაც კომენტარს უკეთებენ უმთავრესად საერთაშორისო მდგომარეობისადმი მიძღვნილ განყოფილებას.

ამ წრეებში, კერძოდ, ხაზს უსვამენ იმას, რომ აღნიშნა რა ყველა სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობა, საბუროვმა კვლავ განაცხადა, რომ სსრ კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აიხსნას როგორც სისუსტის ნიშანი. იგი ცდილობდა ხაზგასმით აღენიშნა, რომ მტრების აზრითაც კი, სსრ კავშირი დღეს უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე, რამდენადაც მასთან ერთად გამოდიან ჩინეთი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, და რომ ამის გამო ლაპარაკს „ძალის პოზიციიდან“ წარმატების ნაკლები შანსი აქვს სსრ კავშირთან მოლაპარაკებაში, ვიდრე ოდესმე.

დასავლეთის წრეებში ფიქრობენ, რომ ეს მტკიცება ახალი არ არის საბჭოთა ხელმძღვანელის ლაპარაკში და იგი გამოითქვა გაცილებით უფრო მტკიცედ, ვიდრე ჩვეულებრივ.

საგანგებო ხაზგასმით აღნიშნავს მ. ზ. საბუროვის მოხსენებაში გამოთქმულ „ოპტიმისტურ რწმენას, რომ ჯერ კიდევ ამოწურული არ არის ყველა შესაძლებლობა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის“.

პარიზი, 8 ნოემბერი. (საკუთარი). გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა მ. ზ. საბუროვის მოხსენების ტექსტის დაწვრილებითი შინაარსი დიდი სათაურით: „მშვიდობიანი თანაარსებობა და ხალხის კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესება — ჩასეთია სსრ კავშირის მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ორი მუდმივი ამოცანა. დასავლეთ გერმანიის შეიარაღება უდიდესი საფრთხეა ევროპის ხალხებისა და მთელი კაცობრიობისათვის“.

ლონდონი, 7 ნოემბერი. (საკუთარი). გაზეთი „სანდი ექსპრესი“ პირველ გვერდზე ათავსებს ცნობას მოსკოვის საბჭოს 1954 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე მ. ზ. საბუროვის მოხსენების შესახებ. გაზეთი განსაკუთრებით გამოაყოფს მოხსენების იმ ადგილს, სადაც ამბობ. საბუროვი ლაპარაკობს ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი მოღაწის ცდებზე — „ელაპარაკონ საბჭოთა კავშირს ეგრეთწოდებული „ძალის პოზიციიდან“. „სანდი ექსპრესი“ აგრეთვე აღნიშნავს ამბ. საბუროვის სიტყვებს მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების გადიდების შესახებ.

„სანდი ტაიმსი“ უმთავრესად გამოჰყოფს ამბ. საბუროვის მოხსენების იმ ადგილს, სადაც იგი ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის იმ პოლიტიკაზე, რომელიც ემყარება სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობის ლენინურ თეზისს.

ბელგრადი, 7 ნოემბერი. (საკუთარი). იუგოსლავიის ცენტრალური გაზეთები „ბორბა“, „პოლიტიკა“, „ნინი“ და ვეკეოდინის გაზეთი „დნევნიკი“ თვალსაჩინო ადგილებზე ბეჭდავენ სსრ კავშირში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სარედაქციო სტატიებს.

გაზეთების პირველ გვერდზე დაბეჭდილია იუგოსლავიის პრეზიდენტ ტიტოს დეპეშა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვისადმი დიდი ოქტომბრის 37-ე წლისთავის გამო.

„ბორბა“ და „პოლიტიკა“ დიდი სათაურით ბეჭდავენ 6 ნოემბერს მოსკოვში საზეიმო სხდომაზე ამხანაგ საბუროვის მოხსენების იმ ნაწილს, სადაც იგი ეხება სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობის ნორმალიზაციას.

„ბორბა“ ხაზგასმით აღნიშნავს სათაურში საბუროვის სიტყვებს იმის შესახებ, რომ „საბჭოთა მთავრობა თავის მხრივ კვლავაც ყოველი ღონისძიებით შეუწყობს ხელს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის სრულ ნორმალიზაციას“.

ბრიუსელი, 7 ნოემბერი. (საკუთარი). ბელგიის საკვირაო გაზეთებმა ცნობები მოათავსეს ოქტომბრის 37-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომის შესახებ. მოკლედ მოჰყავთ რა მ. ზ. საბუროვის მოხსენება, ბურუჟაზიული გაზეთები გამოყოფენ მის განცხადებას სამრეწველო პროდუქციის ზრდისა და საგეგმო დავალებათა გადაჭარბებით შესრულების შესახებ, ახალი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ.

კათოლიკური გაზეთი „ლიხრ ბელჯიკი“ ხაზგასმით აღნიშნავს მ. ზ. საბუროვის განცხადებას ამერიკელ მოღვაწეთა უშედეგო ცდების შესახებ — ელაპარაკონ საბჭოთა კავშირს ეგრეთწოდებული „ძალის პოზიციიდან“. გაზეთებს აგრეთვე მოჰყავთ მ. ზ. საბუროვის სიტყვები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის ურღვევ მეგობრობაზე მშვიდობისათვის ერთობლივ ბრძოლაში.

ნერუ დელში დაბრუნდა

დელი, 6 ნოემბერი. (საკუთარი). გუშინ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მოგზაურობიდან დელში დაბრუნდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ. პრესის წარმომადგენლებთან მოკლე საუბარში ნერუმ განაცხადა, რომ მისი მოლაპარაკება ჯოუ ენ-ლაისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სხვა ხელმძღვანელებთან დამაკმაყოფილებელი იყო და რომ მან დიდი სიამოვნება მიიღო ჩინეთში მოგზაურობით.

აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენება

სტალინგრადის საქალაქო საბჭოს სესიაზე

სტალინგრადი, 5 ნოემბერი. (საკუთარი). დღეს გაიმართა სტალინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სესია ქალაქ კოვენტრის (ინგლისი) დელეგაციის მონაწილეობით, რომელიც მიეძღვნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი ორი ქალაქის—სტალინგრადისა და კოვენტრის მმართველთა გამოშუშავებას მოთხოვნით — აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენება.

სტალინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ალმასკომის თავმჯდომარემ ს. ი. შაპუროვმა შეკრებილთ გააცნო ძირითადი დებულებანი პროექტისა, რომელიც შემუშავებულია ინგლისის დელეგაციისთან ერთად, და მოუწოდა დეპუტატებსა და კოვენტრის მუნიციპალური საბჭოს დელეგაციის წევრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებანი.

სესიის თავმჯდომარე დეპუტატი ტ. ს. მურაშკინა სიტყვას აძლევს დელეგაციის წევრს სიდნეი სტრონგერს.

— ვამაყობ იმით, — ამბობს იგი, — რომ ასეთ ისტორიულ მომენტში გამოვდივარ აქ ქალაქ კოვენტრის დელეგაციის სახელით, რომელიც თავის ღონისძიებებს უერთებს გმირი ქალაქის სტალინგრადის ღონისძიებებს საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების მიღწევის საქმეში. ჩვენ მზად ვართ დავძლიოთ ყველა სიძნელე, რათა მივაღწიოთ მიზანს — გადავარჩინოთ ცივილიზაცია. მოდით ამ სხდომაზე გადავწყვიტოთ, რომ სტალინგრადსა და კოვენტრის — ინგლისსა და რუსეთს — შეუძლიათ გამონახონ და კიდეეც უნდა გამონახონ საფრთხის თავიდან აცილების გზები.

დეპუტატები ამ სიტყვებს ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ქარხანა „კრასნი ოკტიაბრის“ წარჩინებულმა ფოლადმდნობელმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ნ. დ. სკრიპნიკოვმა. მან მხურვალედ მოიწონა სტალინგრადისა და კოვენტრის მმართველთა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი მოთხოვნით — აიკრძალოს ატომური და წყალბადის ბომბების გამოყენება.

მშვიდობის დასაცავად მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა სტალინგრადელი დედების სახელით დეპუტატმა ზ. ს. კოლოკოლცევამ. სტალინგრადის ახალგაზრდობის სახელით სიტყვა წარმოთქვა დეპუტატმა ლ. კ. გოლუბამ. მიმართა ერთსულოვნად მოიწონეს აგრეთვე დეპუტატებმა: სატრაქტორო ქარხნის ინჟინერმა ს. მ. ლოპატინმა, გორკის სახელობის საოლქო თეატრის მთავარმა რეჟისორმა ფ. ე. შიშიგინმა. მექანიკის ინსტიტუტის დირექტორმა ა. ვ. შაშინმა, მწერალმა ვ. გ. ჩეხოვმა, სახალხო განათლების საქალაქო განყოფილების გამგემ მ. ვ. ზოლოტარევმა.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ქალაქ კოვენტრის ლორდ-მერმა ბ-ნმა ჯონ ფენელმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. მეგობრობის ნიშნად მან სტალინგრადს საჩუქრად მიუძღვნა უძველესი ქალაქის კოვენტრის გერბის ბრინჯაოს გამოსახულება.

— დაუშვებელია, — თქვა მან, — რომ ამაო იყოს ის გმირობა, რომელიც გამოვლინდა საერთო მტრის — ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, და რომ ახალ სტალინგრადს, რომლის დაგეგმვას ამდენი მხნეობა და შთაგონება უდევს საფუძვლად, ოდესმე თუნდაც მცირედ მოელოდეს თავდასხმის საფრთხე. ყოველივე იქიდან, რაც აქ ვნახე, ჩემთვის გასაგებია, რომ ახალი სტალინგრადი მომავალი თაობებისათვის იქნება ადამიანის სულის უძლეველობის სიმბოლო.

დასასრულ ბ-ნმა ჯონ ფენელმა სურვილი გამოთქვა, რომ ქალაქ კოვენტრში გაიგზავნოს სტალინგრადის საქალაქო საბჭოს დელეგაცია.

დელეგაციის წევრმა ედვარდ მაკგარიმ თავის სიტყვაში განაცხადა:

— იმედი მაქვს, რომ ჩვენ განვახორციელებთ იმ მისწრაფებებს, რომლებიც გამოთქმულია ჩვენს ერთობლივ მიმართვაში.

სტალინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ს. ი. შაპუროვმა და პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ა. ა. ვდოვინმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს დელეგაციას საჩუქრებისათვის და კოვენტრში მიწვევისათვის.

სესიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება: მიენიჭოს საქალაქო საბჭოს აღმასკომს რწმუნებანი ქალაქ კოვენტრის დელეგაციასთან ერთად ხელი მოაწეროს მიმართვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი მოთხოვნით — აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესია

გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 5 ნოემბერი. (საკუთარი). გუშინ დღის მეორე ნახევარში გაიმართა გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა.

გენერალურმა ასამბლეამ განუხილველად და კენჭისუყრელად მიიღო გენერალური კომიტეტის რეკომენდაცია — შეტანილ იქნას დღის წესრიგში ორი პუნქტი, რომლებიც საბჭოთა კავშირმა წარადგინა: „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედების და ამ მოქმედებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის პასუხისმგებლობის შესახებ“ და „ჩინეთის ზღვების რაიონში ნაოსნობის თავისუფლების დარღვევის შესახებ“.

შემდეგ გენერალურმა ასამბლეამ განიხილა პოლიტიკური კომიტეტის მოხსენება და კომიტეტის მიერ მიღებული რეზოლუციის პროექტები განიარაღების საკითხზე.

რამდენადაც ეს საკითხი დეტალურად განხილული იყო პოლიტიკურ კომიტეტში, დელეგატები, რომლებიც 4 ნოემბერს გამოვიდნენ პლენარულ სხდომაზე, დასჯერდნენ მხოლოდ მოკლე შენიშვნებს. საფრანგეთის წარმომადგენელმა მოკმა გამოთქვა დიდი კმაყოფილება მიღწეულ წარმატებათა გამო და იმედი, რომ განიარაღების საკითხი წარმატებით გადაიჭრება.

ინგლისის წარმომადგენელმა დიკსონმაც კმაყოფილება გამოთქვა პოლიტიკურ კომიტეტში მიღწეული შეთანხმების გამო.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაცია სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს არა მარტო იმ ფაქტს, რომ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტი შეტანილ იქნა ხუთი სახელმწიფოს სახელით, არამედ იმ ფაქტსაც, რომ იგი ერთსულოვნად მიიღეს. ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ ამ რეზოლუციაში საპროცედურო წესის ელემენტებთან ერთად არის პოლიტიკური ხასიათის მეტად მნიშვნელოვანი ელემენტები. რეზოლუცია, თქვა მან, ავალებს განიარაღების კომისიას კვლავ შეეცადოს მიაღწიოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან შეთანხმებას იმ შეთანხმებულ წინადადებათა შესახებ, რომლებიც უნდა შევიდეს განიარაღების საერთაშორისო კონვენციის პროექტში.

რეზოლუცია ავალებს განიარაღების კომისიას გამონახოს განიარაღების პრობლემის მისაღები გადაწყვეტილებანი. ამრიგად, რეზოლუცია შეიცავს სადირექტივო მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმოიდგეს მუშაობა, რომ მიღწეულ იქნას ამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტა.

რა თქმა უნდა, თქვა შემდეგ ვიშინსკიმ, წინ კიდევ იქნება სიძნელენი, მაგრამ გადადგმულია პირველი ნაბიჯი, რომელსაც, შესაძლოა, სწორი იქნება ეუწოდოთ ისტორიული ნაბიჯი. საბჭოთა დელეგაცია ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანებს უდგება იმ „მტკიცე გადაწყვეტილებით“, რომ გამოინახოს ყველა სახელმწიფოსათვის მისაღები შეთანხმება. საბჭოთა კავშირმა უკვე გადადგა მთელი რიგი ნაბიჯები სადავო საკითხებში პოზიციათა და სხვადასხვა თვალსაზრისთა დაახლოების გზაზე. და ჩვენ, ბუნებრივია, მოველით, რომ დასავლეთ სახელმწიფოთა წარმომადგენლებიც გადადგამენ თავის მხრივ ნაბიჯებს, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმატებითი შეთანხმების მიღწევას ჩვენი საერთო ინტერესებისათვის.

მოკლე განცხადებები გააკეთეს ავრეთვე შვეიცარის, ინდოეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა.

ასამბლეამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც შეიტანეს კანადამ, საფრანგეთმა, სსრ კავშირმა, ინგლისმა და შეერთებულმა შტატებმა შეიარაღების შემცირებისა და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის საკითხზე.

სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 5 ნოემბერი. (საკუთარი). გუშინდელ დღის სხდომაზე სპეციალური პოლიტიკური კომიტეტი განაგრძობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების საკითხის განხილვას. ამ საკითხზე საერთო დისკუსიაში გამოვიდნენ ახალი ზელანდიის, საბჭოთა კავშირის, სალვადორისა და ინდოეთის წარმომადგენლები.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა გ. ფ. საქსინმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების „კეთილი სამსახურის“ კომიტეტმა ვერ მოახერხა ახალი წევრების მიღების საკითხი გამოეყვანა ჩიხიდან, რომელშიც იგი უკვე რამდენიმე წელია იმყოფება.

ზოგი ქვეყნის მიმართ ფავორიტიზმისა და ზოგის მიმართ დისკრიმინაციის იმ პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, რასაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ზოგიერთი დელეგაცია ახორციელებს, განაცხადა საქსინმა, საბჭოთა კავშირი სხვა პრინციპის მომხრეა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალობის პრინციპის შესაბამისად საბჭოთა კავშირს არაერთგზის მოუთხოვია როგორც უშიშროების საბჭოში, ისე გენერალური ასამბლეის სესიებზე გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში 14 სახელმწიფოს — ალბანეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ფინეთის, იტალიის, პორტუგალიის, ირლანდიის, იორდანიის, ავსტრიის, ცეილონის, ნეპალისა და ლიბიის მიღება.

ამ მხრივ რა სამართლიან დამოკიდებულებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხისადმი, თქვა გ. ფ. საქსინმა, საბჭოთა დელეგაციას ამ საკითხზე შემოაქვს რეზოლუციის შემდეგი პროექტი:

„გენერალური ასამბლეა

სთხოვს უშიშროების საბჭოს კვლავ განიხილოს ალბანეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ფინეთის, იტალიის, პორტუგალიის, ირლანდიის, იორდანიის, ავსტრიის, ცეილონის, ნეპალისა და ლიბიის განცხადებანი, რათა გამოტანილ იქნას რეკომენდაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად ყველა ამ სახელმწიფოს ერთდროულად მიღების შესახებ“.

შეეხო რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ლაოსისა და კამბოჯის მიღების საკითხს, საქსინმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ კომიტეტში დაისახა გარკვეული ტენდენცია ორგანიზაციის წევრებად 14 სახელმწიფოს მიღების საკითხის განხილვა შეცვალონ ორი სახელმწიფოს მიღების ვიწრო საკითხით. სსრ კავშირის დელეგაციას მიზანშეწონილად მიაჩნია გადადიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად ლაოსისა და კამბოჯის მიღების საკითხის განხილვა, სანამ მთელი ინდოჩინეთის პრობლემა საბოლოოდ მოწესრიგდებოდეს პოლიტიკურად ჟენევის თათბირზე მიღწეულ შეთანხმებათა შესაბამისად.

გვატემალის პრეზიდენტ არბენსის ინტერვიუ

ნიუ-იორკი, 8 ნოემბერი. (საკუთარი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მექსიკოდან იუწყება, გვატემალის ყოფილმა პრეზიდენტმა არბენსმა გაზეთ „ექსელსიორისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას გვატემალის პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომა კი არ უთხოვია, არამედ ეს გააკეთებინეს არმიის ოფიცრებმა, რომელნიც გამცემლები აღმოჩნდნენ. არბენსმა განაცხადა, რომ იგი კომუნისტი არ არის, მაგრამ „თანაუგრძნობს მშვიდობის პროგრამას, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს“.

არბენსმა განსაკუთრებით მკვეთრად ილაპარაკა შეერთებულ შტატებზე, რომლებსაც არაერთხელ უწოდა „იმპერიალისტური ჩრდილოეთი ამერიკა“ და „იმპერიალისტი ინკვები“. არბენსმა „განგსტერი“ უწოდა ამერიკის ყოფილ ელჩს გვატემალაში პერიფუას.

გაკრიტიკა რა გვატემალის ახლანდელი რეჟიმი, არბენსმა განაცხადა: „არავითარ გარემოებაში არ შევწყვეტ ბრძოლას დემოკრატიის სანგრებშო“.

საერთაშორისო საჰადრაკო ტურნირზე ბელგრადში

ბელგრადი, 6 ნოემბერი. (საკუთარი). გუშინ საერთაშორისო საჰადრაკო ტურნირზე ბელგრადში გათამაშდა მე-13 ტური.

ოპენ-ვეიდის პარტიაში ოპენმა გაიმარჯვა, პილნიკმა მოუგო პორეკას. ყაიმით დამთავრდა ბრონშტეინ-ჯარაკლიიჩის, ივკოვ-ნედელკოვიჩის და პირც-რაბარის პარტიები.

საყაიმო მდგომარეობაში გადაიდო მილიჩ-ნიეერგელტის პარტია. გადადებულია იანოშევიჩ-პეტროსიანის, მატანოვიჩ-ბარცას, ჩერნიაკ-ტრიფუნოვიჩის და ჯურაშევიჩ-გლიგორიჩის პარტიები.

ბელგრადი, 7 ნოემბერი. (საკუთარი). მეცამეტე ტურის დაუმთავრებელი პარტიების გათამაშების დროს თამაშის განუხლებლად დასთანხმდნენ ყაიმზე მილიჩ-ნიეერგელტი და მატანოვიჩ-ბარცა. ჯურაშევიჩმა თანხმიმდევრულად გადადგა თავისი უპირატესობა პარტიაში გლიგორიჩის წინააღმდეგ; გლიგორიჩმა უიმედო მდგომარეობაში გადაიცალა დროს. იანოშევიჩ-პეტროსიანის პარტია, რომელიც გადაიდო მძიმე მდგომარეობაში შავებისათვის, დამთავრდა 74-ე სვლაზე იანოშევიჩის გამარჯვებით. ტრიფუნოვიჩმა ლამაზი თამაშით გაიმარჯვა პარტიაში ჩერნიაკთან.

გუშინ საღამოს თამაშობდნენ მე-14 ტურს. პეტროსიან-პირცის პარტია 35-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

ყაიმით დამთავრდა აგრეთვე პორეკა-ჯურაშევიჩის, რაბარ-პილნიკის, მილიჩ-ივკოვის პარტიები. ნიეერგელტ-ტრიფუნოვიჩის პარტია ძალიან მალე გადავიდა თანაბარ ოთხტლიან დაბოლოებაში. ნიეერგელტი მეტად პასიურად თამაშობდა და საშუალება მისცა ტრიფუნოვიჩს გაეცლებით უფრო აქტიური პოზიცია მიეღო. მიუხედავად ამისა, ნიეერგელტი ყაიმის შანსს ინარჩუნებს. თეთრებისათვის უპირატესობით გადაიდო კარაკლაიჩ-იანოშევიჩის პარტია.

გლიგორიჩმა პარტიაში ჩერნიაკის წინააღმდეგ შესწირა მხედარი და ეტლით შეიჭრა მეშვიდე ჰორიზონტალზე. შავების მდგომარეობა მეტად ძნელი ჩანდა. მაგრამ ჩერნიაკი განსაკუთრებული შეუპოვრობით იცავდა თავს, მოიგერია თეთრების მუქარა, თვითონ მიიტანა კონტრიერიში და გადადებულ მდგომარეობაში მოგების შანსი აქვს. ბრონშტეინმა მოუგო ვეიდს.

შეუპოვარი ბრძოლით მიმდინარეობდა ნედელკოვიჩ-მატანოვიჩის შეხვედრა. ნედელკოვიჩმა გაიმარჯვა 43-ე სვლაზე. გადადიო ბარცა-იოპენის პარტია.

ბელგრადი, 8 ნოემბერი. (საკუთარი). გუშინ დილით საერთაშორისო საჰადრაკო ტურნირზე ბელგრადში თამაშობდნენ მე-14 ტურის დაუმთავრებელ პარტიებს. თამაშის განუხლებლად ცნო თავი დამარცხებულად გლიგორიჩმა ჩერნიაკის წინააღმდეგ, ტრიფუნოვიჩმა მოუგო ნიეერგელტს, კარაკლაიჩმა — იანოშევიჩს.

გუშინ საღამოს გაიმართა მე-15 ტური. მატანოვიჩ-მილიჩის, ტრიფუნოვიჩ-გლიგორიჩის, პეტროსიან-პილნიკის, ვეიდ-იანოშევიჩის, პირც-კარაკლაიჩის, ბრონშტეინ-ბარცას პარტიები ყაიმით დამთავრდა. ივკოვმა მოუგო ნიეერგელტს, ჯურაშევიჩმა — რაბარს, ჩერნიაკმა — პორეკას.

გერმანელი ოსტატის იოპენისა და ნედელკოვიჩის პარტია არ დამთავრებულა.

ბელგრადი, 9 ნოემბერი. (საკუთარი). გუშინ საერთაშორისო საჰადრაკო ტურნირზე ბელგრადში მიმდინარეობდა მე-16 ტური.

პილნიკმა (არგენტინა) მოუგო კარაკლაიჩს (იუგოსლავია). იანოშევიჩმა (იუგოსლავია) მოუგო ბარცას (უნგრეთი).

ყაიმით დამთავრდა ნედელკოვიჩ (იუგოსლავია)-ბრონშტეინის, პეტროსიან-ჯურაშევიჩის (იუგოსლავია), მილიჩ (იუგოსლავია)-იოპენის (დასავლეთი გერმანია), ვეიდ (ინგლისი)-პირცის (იუგოსლავია) პარტიები.

რაბარ (იუგოსლავია)-ჩერნიაკის (ისრაელი) და ნიეერგელტ (შვეიცარია)-გლიგორიჩის (იუგოსლავია) პარტიები გადადიო.

ტურნირის ბოლომდე დარჩა სამი ტური. წინანდებურად ლიდერია საბჭოთა გროსმაისტერი ბრონშტეინი, რომელმაც მოიგოო 11,5 ქულა, ტრიფუნოვიჩსა და მატანოვიჩს აქვთ 10,5 ქულა თვითეულს, პეტროსიანსა და პილნიკს — 10-10 ქულა.

კოლმეურნე ცხენოსანთა ასპარეზობა

საზეიმოდ გამოიყურებოდა 8 ნოემბერს დელისის იპოდრომი. პლაკატები, ლოზუნგები და სასპორტო ალმები ამშვენებდა მის მიდამოებს.

12 საათია. გაისმის საზეიმო მარშის ხმები. ცხენოსნები ადგილიდან დაიძრნენ, მწყობრად მიემართებიან ცენტრალური ტრიბუნისაკენ. კოლონას წინ მიუძღვიან გუდაუთელი ცხენოსნები. მათ მიჰყვებიან სოხუმის, ქობულეთის, ქუთაისის, ფოთის, ცხაკაიას, ჩოხატაურის, ზესტაფონის, სიღნაღის და სხვა რაიონების გუნდები 200-ზე მეტი კოლმეურნე მხედრის მონაწილეობით.

ცხენოსანთა პარადი მიიღო საქართველოს სასოფლო სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ კ. ნაჭყებიამ. ალამი ალმართეს გუნდების კაპიტნებმა.

საქართველოს კოლმეურნე ცხენოსანთა შეჯიბრება ნებაყოფლობითი სასოფლო სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის“ პირად-გუნდური პირველობაზე პირველად ეწყობა. ეს შეჯიბრება ერთ-ერთ მასობრივ ასპარეზობას წარმოადგენს. მასში მონაწილეობას იღებენ საკოლმეურნეო შრომის წარჩინებული ადამიანები, რომლებმაც თავი ისახელეს უხვი მოსავლისათვის გაწეულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

დაიწყო შეჯიბრება. ცხენოსნები ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ „საშუალო კლასის“ დაბრკოლებათა დაძლევაში, ისინდში, ცხენბურთში, დოღში, მარულაში, ჩეხვაში...

მოედანზე არიან „საშუალო კლასის“ დაბრკოლებათა დაძლევის მონაწილენი, პარალელურად იწყება ცხენოსნობის უმაღლესი სკოლის ჩვენება. 29 ცხენოსნიდან დაბრკოლებათა ზოლი სუფთად გაიარეს — მელიამ, მატარაძემ, კვაჭანტირაძემ, ხოჯაევმა, აფციაურმა და ქოქლტმა. გამარჯვებულის გამოსავლენლად გაიმართა დამატებითი შეხვედრა. აქ თავი ისახელა სოხუმელმა ცხენოსანმა მატარაძემ. მან პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა აფციაური (სიღნაღის რაიონი), მესამეზე — ხოჯაევი (ქუთაისის რაიონი).

მაყურებელთა საერთო მოწონება დაიმსახურა საჩვენებელმა გამოსვლამ ცხენოსნობის უმაღლეს კლასში. მხედარი — ზემდეგი კანდიდა).

სტარტზე არიან ცხენსაშენის მხედრები და ჯიშიანი ცხენები, რომლებიც 2 კილომეტრზე დოღში მონაწილეობდნენ. მსაჯის ნიშანზე ცხენები ადგილიდან მოსწყდნენ. გავლილია პირველი წრე. კიდევ ერთი წუთი და ფინიშთან წინ გაიჭრა მხედარი მირაქვი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა ასათიანი. მესამეზე — სულეიმანოვი. მეორე და მესამე დოღში გამარჯვებული გამოვიდნენ ყულბაშვილი და ასათიანი.

ცენტრალური ტრიბუნის წინ მაღალი ოსტატობით შეასრულა საჩვენებელი ხტომები სპორტის ოსტატმა ძიძიგურამა.

მოედანზე გამოვიდნენ ზესტაფონისა და ქობულეთის გუნდები. დაიწყო შეჯიბრება ისინდში. მხედრებმა თამაშის მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნეს. მაყურებლებში დიდი მოწონება დაიმსახურა ზესტაფონის რაიონის 74 წლის კოლმეურნემ ა. მხეიძემ. ამ გუნდების შეჯიბრება დამთავრდა ქობულეთელთა გამარჯვებით. ცხაკაიას და სიღნაღის გუნდებს შორის ისინდში გაიმართა ცხაკაიის რაიონის სპორტსმენებმა.

ფანფარის ხმამ დამშვრეებს მთის დოღის დაწყება ამცნო. ეს შეჯიბრება ჭოლმეურნე ცხენოსანთა ასპარეზობის ერთ-ერთ საინტერესო სანახაობის წარმოადგენდა. მასში მონაწილეობა მიიღეს ყაზბეგისა და თიანეთის ცხენოსნებმა. გაიმარჯვა ყაზბეგის რაიონის ცხენოსანმა ჟ. არ